განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**
**ქართულ ენაში მომზადების საგანმანათებლო პროგრამა**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღ(ებ)ი
10 დეკემბერი 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
16. 12. 19

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 218076542 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა[1] |
| განათლების საფეხური | |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 60 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1] საგანმანათლებლო პროგრამა განკუთვნილია აზერბაიჯანულენოვანთათვის, სომხურენოვანთათვის, აფხაზურენოვანთათვის, ოსურენოვანთათვის.

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა 2007 წელს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია-გაერთიანების გზით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის N245 გადაწყვეტილება).
2019 წელს სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში განისაზღვრა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას 2020 წლის 01 ივნისიდან. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, ფაკულტეტის ადიმნისტრაციამ, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან ინტერვიუების დროს განაცხადეს, რომ ისინი იცნობდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, პროგრამის ხელმძღვანელი კი თავად არის აღნიშნული დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრი. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტი ადმინისტრაციამ განმარტა, უახლოეს მომავალში იგეგმება პროგრამაში ცვლილებების შეტანა დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

### აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ცენტრის დირექტორის ბრძანების #1130 (22. 11. 2019) თანახმად, 2019 წლის 10 დეკემბერს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი.
ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საგანმანათლებლო პროცესს, შედგა შეხვედრები სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

ვინაიდან პროგრამა აკრედიტებულია, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, ლინგოფონის კაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვ.
ვიზიტის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამასთან დაკავშირებით: განხილულ იქნა პროგრამა, მისი სტრუქტურა, შესაბამისი დოკუმენტაცია, ცალკეული სილაბუსები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ასევე, მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო კურსის/კურსების შეთავაზება დარგობრივი მიმართულებების მიხედვით.
  - 2019 წელს შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, რომელიც 2020 წლის 1 ივნისიდან შედის ძალაში, მნიშვნელოვანია პროგრამამ განიცადოს რეორგანიზაცია და დაწესებულებამ მოახდინოს აკადემიური რესურსების მობილიზება. პროგრამის განვითარების გეგმაში შევიდეს ახალ დარგობრივ მახასიათებლებზე გადასვლა, დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები და მოხდეს ენობრივი დონეების მიხედვით სასწავლო კურსების დიფერენცირება. კერძოდ:
  - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციები პირველი სემესტრის დასაწყისში პრეტესტის საფუძველზე.
  - მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავება სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნილი ცენტრის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების

დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დარგობრივი მახასიათებლები ძალაში შედის 2020 წლის ივნისიდან, როდესაც პროგრამამ უნდა დაიწყოს ფუნქციონირება 2020-21 სასწავლო წლისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, 2020-21 სასწავლო წელს სტუდენტებმა სწავლა დაიწყონ ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებთან.

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში, პირველ სემესტრში, მნიშვნელოვანია აისახოს სტუდენტთა საწყისი კომპეტენციების ენობრივი დონეების მიხედვით საგნების დიფერენცირება.
- მიზანშეწონილია, პროგრამაში განსაზღვრული იყოს დონეების მიხედვით განსხვავებული საკონტაქტო საათები.
- პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობირვი სავალდებულო/არჩევითი კურსები, რომლებიც გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულენოვან მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არის მცირე კონტიგენტიანი. მნიშვნელოვანია პროგრამის ცნობადობის გაზრდა სამიზნე აუდიტორიაში.
  - საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის ყოველწლიური განახლება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში.
  - ელექტონული სერვისების გაუმჯობესება.
  - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
  - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 4 დეკემბრის N245 გადაწყვეტილება).
  - 2014-18 წლებში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 60 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).

2014-2018 წლებში განხორციელებული ცვლილებები:

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმას დაემატა სპეციალობის არჩევითი კურსი, ,,ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“.

- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შეტანილი იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი სექტემბრიდან, პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, აგრეთვე სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან.
- პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად განხორციელდა პროგრამისათვის საჭირო ბაზის გაძლიერება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით.

2019 წელს განხორციელებული ცვლილებები:

- პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (მოსმენა)“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა)“;
- პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (კითხვა)“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა)“;
- პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი)“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი)“
- პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (წერა)“ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ,,ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა)“
- მოხდა პროგრამის 10 კრედიტიანი სასწავლო კურსის: „ენის კომუნიკაციური ასპექტები 1“ და „ენის კომუნიკაციური ასპექტები 2“ გამსხვილება და ჩამოყალიბდა 5 კრედიტის სახით, ხოლო გამოთავისუფლებული 5 კრედიტი დაეთმო სასწავლო კურსს: ,,მრავალფეროვნება და ტოლერანტობა“.
- პროგრამის განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა გამსხვილებული სახით.
- პერმანენტულად ხორციელდება სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის განახლება.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>○ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, რომელიც ასახავს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. კერძოდ, პროგრამის მიზანია მოამზადოს არაქართულენოვანი სტუდენტები ქართულ ენაში ისე, რომ მათ შეძლონ საბაკალავრო საფეხურის სასურველ პროგრამაზე სწავლის გაგრძელება და მის ფარგლებში ლექცია-სემინარების ქართულ ენაზე გაგება და სასწავლო მასალის ათვისება; პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების მიერ, იგი საჯაროა და ხელმისაწვდომი - განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო |

პროგრამების კატალოგში, ბიბლიოთეკაში.

- 2019 წელს სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში განისაზღვრა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა ქართულ ენაში მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას 2020 წლის ივნისიდან. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, ფაკულტეტის ადიმნისტრაციამ, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან ინტერვიუების დროს განაცხადეს, რომ ისინი იცნობდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, პროგრამის ხელმძღვანელი კი თავად არის აღნიშნული დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრი. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, უახლოეს მომავალში იგეგმება პროგრამაში ცვლილებების შეტანა დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად იხ. 2. 1; 2. 2; 2. 3. დარგობრივ მახასიათებლებთან ქართულ ენასი მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანა ძალაში შედის 2020 წლის 1 ივნისიდან. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამაში მხოლოდ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი უახლესი საგანმანათლებლო რეგულაციები, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია საგნის, „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება", მეორე სემესტრიდან სწავლება. მიმდინარე ეტაპზე პრორგამა შესაბამება საკანონმდებლო რეგულაციებს, მაგრამ როგორც აღინიშნა, ვინაიდან დარგობრივი მახასიათებლები ძალაში შედის 2020 წლის ივნისიდან, როდესაც პროგრამამ უნდა დაიწყოს ფუნქციონირება 2020-21 სასწავლო წლისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, 2020-21 სასწავლო წელს სტუდენტებმა სწავლა დაიწყონ ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებთან.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არის მცირე კონტიგენტიანი. მნიშვნელოვანია პროგრამის ცნობადობის გაზრდა სამიზნე აუდიტორიაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>o ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არის მცირე კონტიგენტიანი. მნიშვნელოვანია პროგრამის ცნობადობის გაზრდა სამიზნე აუდიტორიაში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც პროგრამის სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს გამოიმუშავოს უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებებით: ქართული ენის სტრუქტურა, (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ერკვევა მათ საერთო ნიშნებში, სტრუქტურაში; კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანი ენობრივი ფორმები, მოსმენის, ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის ძირითადი სტრატეგიების დანიშნულება; მარტივი გრამატიკული კონსტრუქციები და მათი შემადგენელი ერთეულების ფუნქცია; ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგი და გავრცელებული გამოთქმები, ლექსიკოლოგიის ელემენტები; სხვადასხვა ტიპის ტექსტებზე მუშაობის ძირითადი პრინციპები, ანალიზი და ინტერპრეტაცია, ტექსტის სტრუქტურა და მის ნაწილებს შორის კავშირის; ქართული ენის გრამატიკის ორთოგრაფია და მართლწერის წესები; ყოფით ან სასწავლო გარემოში მითითებებისა და დავალებათა შინაარსის გაგება; ნაცნობ თემებზე გარკვევით წარმართული საუბრიდან კონკრეტული ინფორმაციის მოსმენა და ძირითადი შინაარსის აღქმა შესწავლილი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით; შეკითხვის, თხოვნის, მოთხოვნის და სხვ. სათქმელის განსხვავება ინტონაციის მიხედვით, მოსაუბრეთა ემოციის ამოცნობა და მოსმენილი ტექსტის შინაარსის უკეთ გასააზრებლად შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება. დავალებათა პირობების, ინსტრუქციების წაკითხვა და გაგება; საინტერესო თემებზე შესაბამისი ტექსტების წაკითხვა და ძირითადი შინაარსის გაგება; წაკითხულ ტექსტში კონკრეტული ინფორმაციის მოძიება; წაკითული ტექსტის მიზნის ამოცნობა, სოციალურ ქსელებში ტექსტების წაკითხვა. ორიენტაცია ქართულენოვან გარემოში, საინტერესო თემატიკაზე საუბარი სასწავლო გარემოში, კითხვების დასმა და მისთვის დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა; მოსმენილი ტექსტის თემის დასახელება, ინფორმაციის მოკლედ და თანმიმდევრულად გადმოცემა, საკუთარი აზრის მარტივად ჩამოყალიბება, შესწავლილი ენობრივი საშუალებების გამოყენება სხვადასხვა სიტუაციებში. სხვადასხვა ენობრივი კონსტრუქციების მეშვეობით წინადადებების აგება; სასწავლო მასალის დამუშავების მიზნით სხვადასხვა ტიპის ტექსტების დაწერა, სინტერესო თემებზე წერილობითი ტექსტების შექმნა, რომელშიც აღწერს მნიშვნელოვან მოვლენებს და გამოხატავს საკუთარ აზრს, წაკითხული ან მოსმენილი ტექსტების მიხედვით მცირე ზომის ტექსტის შექმნა, საქმიანი დოკუმენტაციის შედგენა, საანკეტო მონაცემების შევსება, მოკლე ბიოგრაფიის შექმნა, მარტივი ესეს დაწერა. და სხვ.

- პროგრამაში ჩართული პირები მონაწილეობდნენ პროგრამის შედგენასა და სრულყოფაში. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში მოცემული შინაარსი, როგორიცაა ცოდნა და გაცნობიერება, კომუნიკაციის უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა დაგეგმილია ენის ფლობის კრიტერიუმების მიხედვით,

| |
|---|
| როგორებიცაა წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი. სწავლა/სწავლებისა და შეფასების კრიტერიუმები ძირითადად უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას აკრედიტაციის ექსპერტების შენიშვნები საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან, მათ შორის, სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, იხ. (2. 2; 2. 3; 2. 4). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც ჩაირიცხება სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების |

აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე, აგრეთვე პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხება სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და გადაწყვეტს აღნიშნული პროგრამის გავლას.

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წელს მომზადებული ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობებია აგრეთვე სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრა პირველი სემესტრის დასაწყისში პრეტესტის საფუძველზე. შესაბამისად, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციები პირველი სემესტრის დასაწყისში პრეტესტი საფუძველზე.

- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა 2020/2021 სასწავლო წლისთვის, როცა ის სტუდენტთა ახალ ნაკადს მიიღებს, ამ სახით, როგორიც დღეს არის, ვეღარ დააკმაყოფილებს სტანდარტებს. პროგრამა შესაბამისობაში აღარ იქნება სტანდარტებთან, რადგან 2020 წლის ივნისიდან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ახალი რეგულაციები შედის ძალაში, რომლის მიხედვით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციები პირველი სემესტრის დასაწყისში პრეტესტის საფუძველზე. გარდა ამისა, 2020/2021 სასწავლო წლისთვის პროგრამაზე რომ მოხდეს სტუდენტთა ახალი ნაკადის მიღება, აუცილებელია პროგრამის ყველა სასწავლო კურსს ჰქონდეს ენობრივი დონეების მიხედვით განსხვავებული (A და B დონის) სილაბუსები. ამის გარეშე პროგრამა არ იქნება შესაბამისობაში იმ დროისთვის მოქმედ სტანდარტებთან და ძალაში შესული ახალი რეგულაციების მიხედვით ვერ შეძლებს სტუდენტთა მიღებას.
-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ქართულ ენაში მომზადების პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციები პირველი სემესტრის დასაწყისში პრეტესტის საფუძველზე.
- 

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. მისი ხანგრძლივობაა 1 აკადემიური წელი (2 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 60 ECTS კრედიტი (1 ECTS კრედიტი = 25 საათი). ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის საშუალო წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).
- მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავება 2019 წელს მიღებული სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნილი ცენტრის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში, პირველ სემესტრში, მნიშვნელოვანია აისახოს სტუდენტთა საწყისი კომპეტენციების ენობრივი დონეების მიხედვით საგნების დიფერენცირება.
- პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობირვი სავალდებულო/არჩევითი კურსები.
- აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა, ფაკულტეტის ადიმნისტრაციამ, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან ინტერვიუების დროს განაცხადეს, რომ ისინი იცნობდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, პროგრამის ხელმძღვანელი კი თავად არის აღნიშნული დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრი. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ განმარტა, უახლოეს მომავალში იგეგმება პროგრამაში ცვლილებების შეტანა დარგობრივ მახასიათებელთან

| |
|---|
| შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ვინაიდან დარგობრივი მახასიათებლები ძალაში შედის 2020 წლის ივნისიდან, როდესაც პროგრამამ უნდა დაიწყოს ფუნქციონირება 2020-21 სასწავლო წლისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, 2020-21 სასწავლო წელს სტუდენტებმა სწავლა დაიწყონ ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებთან.<br>○ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა<br>○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| რეკომენდაციები:<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br>○ მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავება სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნილი ცენტრის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით.<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში, პირველ სემესტრში, მნიშვნელოვანია აისახოს სტუდენტთა საწყისი კომპეტენციების ენობრივი დონეების მიხედვით საგნების დიფერენცირება.<br>○ პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობირივი სავალდებულო/არჩევითი კურსები. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგება შემდეგი საგნებისაგან: ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა); ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა); ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი); ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა); ენის კომუნიკაციური ასპექტები; ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1; ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები; ფუნქციური წერა; ლექსიკა და კითხვის სტრატეგიები; ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2; ორთოგრაფია და ორთოეპია; მრავალფეროვნება და ტოლერანტობა. ყველა საგანი 5 კრედიტიანია და ყველა საგანი სავალდებულოა.
- მიმდინარე ეტაპზე პროგრამაში შესულია 2019 წელს შემუშავებული ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამის დარგობრივი მახასიათებლის მიერ

| |
|---|
| დადგენილი კრიტერიუმების ერთი პუნქტი, კერძოდ, შემოღებულია სასწავლო საგანი „ტოლერანტობა და მრავალფეროვნება“.<br>○ პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ასევე, მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო კურსის/კურსების შეთავაზება დარგობრივი მიმართულებების მიხედვით.<br>○ 2019 წელს შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, რომელიც 2020 წლის 1 ივნისიდან შედის ძალაში, მნიშვნელოვანია პროგრამამ განიცადოს რეორგანიზაცია და დაწესებულებამ მოახდინოს აკადემიური რესურსების მობილიზება. პროგრამის განვითარების გეგმაში შევიდეს ახალ დარგობრივ მახასიათებლებზე გადასვლა, დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები და მოხდეს ენობრივი დონეების მიხედვით სასწავლო კურსების დიფერენცირება. კერძოდ:<br>○ მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავება სსიპ-განათლების ხარისხის ეროვნილი ცენტრის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით.<br>○ სასწავლო კურსები არ არის დაყოფილი ენობრივი დონეების მიხედვით. მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსებში აისახოს საწყისი და შემდგომი დონის სტუდენტებისათვის შესაფერისი სასწავლო კურსების სწავლება პირველ სემესტრში.<br>○ მიზანშეწონილია, პროგრამაში განსაზღვრული იყოს დონეების მიხედვით განსხვავებული საკონტაქტო საათები.<br>○ პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობირვი სავალდებულო/არჩევითი კურსები, რომლებიც გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულენოვან მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის.<br>○ |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთანინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ |

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ასევე, მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო კურსის/კურსების შეთავაზება დარგობრივი მიმართულებების მიხედვით.
- 2019 წელს შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, რომელიც 2020 წლის 1 ივნისიდან შედის ძალაში, მნიშვნელოვანია პროგრამამ განიცადოს რეორგანიზაცია და დაწესებულებამ მოახდინოს აკადემიური რესურსების მობილიზება. პროგრამის განვითარების გეგმაში შევიდეს ახალ დარგობრივ მახასიათებლებზე გადასვლა, დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები და მოხდეს ენობრივი დონეების მიხედვით სასწავლო კურსების დიფერენცირება. კერძოდ:
- მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავება სსიპ განათლების ხარისხის ეროვნილი ცენტრის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით.
- სასწავლო კურსები არ არის დაყოფილი ენობრივი დონეების მიხედვით. მნიშვნელოვანია, სასწავლო კურსებში აისახოს საწყისი და შემდგომი დონის სტუდენტებისათვის შესაფერისი სასწავლო კურსების სწავლება პირველ სემესტრში.
- მიზანშეწონილია, პროგრამაში განსაზღვრული იყოს დონეების მიხედვით განსხვავებული საკონტაქტო საათები.
- პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობირვი სავალდებულო/არჩევითი კურსები, რომლებიც გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულენოვან მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და მისი კომპონენტები ძირითადად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას.
- სასწავლო უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებას. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებული სხვადასხვა ლიტერატურული, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br>○ |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
- პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიცაა სალექციო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ასევე აქტივობები - წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა, დისკუსია, სავარჯიშო, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლება-სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამაც. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან

| |
|---|
| ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების |

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული წესი ასახულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

- სტუდენტთა შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. მოქმედებს სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გააჩივრების მექანიზმიც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამა
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან
- ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| |
|---|
| ○ |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>○ სასწავლო უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობა |

რეგულირებულია სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი დოკუმენტებით.

- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუბზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათ დაადასტურეს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, შესაბამისად, მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახულია. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს აქტიური თანამშრომლობა აქვთ ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.
- ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებაში, გორის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისადან, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ, თვალი ადევნოს თავის აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს კურსების სილაბუსებს.
- სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში დეტალურად აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარს, შეფასების სისტემას. მათ იციან, რომ აქვთ საკონსულტაციო საათით სარგებლობის უფლება, და სტუდენტები საკმაოდ ხშირად სარგებლობენ აღნიშნული მომსახურებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ინტერვიუს შედეგები სტუდენტებთან;
- ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ ფასდება

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | მისობაშია მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო

| |
| --- |
| რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალის 7 წარმომადგენელი (მათ შორის 3 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი) და 2 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი ჩართულია ამ პროგრამის შემუშავეაბ/განხორციელეაბში - კონკურსის წესით, ხოლო მოწვეული სპეციალისტების პროგრამაში ჩართვა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს ბილინგვური სწავლების გამოცდილება. ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის დარგობრივ ტრენინგებში, კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.<br>○ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შესაბამისობაშია „სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან“ და არის პროგრამის სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატური.<br>○ საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.<br>○ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი განათლებით, პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის გარეშე სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ სპეციალისტთა სამსახურში მიღების ერთიანი წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ( 2014 წლის 19 ივლისის N 09-93).<br>○ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; |

- მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (აკადემიური საბჭოს N 09-18 23.03.2018 დადგენილება).
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
    - გორის სასწავლო უნივერსიტეტი ყოველწლიურად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას. აღნიშნული შეფასება ხორციელდება „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ შესაბამისად, რომელიც მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კველვითი საქმიანობის შეფასებას;
    - გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალს აქვს შესაბამისი გამოცდილება ბილინგვური განათლების, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თავისებურებებთან დაკავშირებით.
    - გორის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები: ტარდება საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო პროექტების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსება, სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა.
    - პროგრამაში ჩართული პერსონალი სისტემატიურად იმაღლებს კვალიფიკაციას და მონაწილეობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი (სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების სამეცნიერო აქტივობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ (სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-22 დადგენილება);
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვლევის განვითარების პოლიტიკის, კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმი (სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-54 დადგენილება);

- სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორის ატესტაციის ჩატარების წესი (სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-15 დადგენილება);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კონფერენციები, პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას);
- სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალისა და სტუდენტების ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი (სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 09 ნოემბრის N09-46 დადგენილება);
- პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 4.3 მატერიალური რესურსი |
| --- |
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის წარმართვისა და სხვა აქტივობებისათვის გათვალისწინებულია თანამედროვე ინვენტარითა და ტექნიკური რესურსით - პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორია-ლაბორატორიები, ლინგოფონის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია 4 კორპუსში, მათგან სამში - წიგნსაცავით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები და ოთახები აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომპიუტერებით, პრინტერებით, ქსეროქსებით, სკანერებით) და ინტერნეტით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი - 307 826 ერთეულს მოიცავს, რაც აღრიცხულია საინვენტარო წიგნებში. ბიბლიოთეკაში არსებობს სრულყოფილი ანბანური და სისტემური კატალოგი, ასევე ელექტრონული სახით (ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამა "Openbiblio"). ბიბლიოთეკაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს ემსახურება კომპეტენტური პერსონალი.<br>○ დარგობრივი სიახლეებისა და პროგრამის პერსონალის მოთხოვნების გათვალისწინებით, საბიბლიოთეკო ფონდი რეგულარულად მდიდრდება პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით.<br>○ ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.<br>○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმებით უზრუნველყოფილია, დარგობრივი სიახლეებისა და პროგრამის პერსონალის მოთხოვნების გათვალისწინებით, საბიბლიოთეკო ფონდის რეგულარულად განახლება/გამდიდრება პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და |

ლიტერატურით.

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ზემოთ მითითებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
- სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- შესაბამისი კომპიუტერული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ლაბორატორიები;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი და არაწიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ლიტერატურასთან;
- ,,სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-65 დადგენილება;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუდენტებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სსიპ- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის. მატერიალური რესურსების დათვალიერების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის ყოველწლიური განახლება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში.
- ელექტონული სერვისების გაუმჯობესება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მათი პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სავალდებულო ლიტერატურის და სხვა სასწავლო მასალის შეძენის ხარჯებს.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის

საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; უსდ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება #09-36; 27.12.2018;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი; ფაკულტეტის გადაწყვეტილება # 13; 02.11.2018;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 17 აპრილის #2-65 ბრძანება;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-62 დადგენილება.
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციული სამსახურის პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | მისობაშია მოთხოვნებთან | ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, როგორც არსებული პროგრამების შეფასების, ისე განვითარების მიზნით. უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები ლექტორისა

| |
|---|
| და სასწავლო კურსის შეფასების მიზნით. სტუდენტები დადებითად აფასებენ პროგრამას. ასევე დანერგილია კოლეგათა მიერ ურთიერთშეფასების სისტემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის გასაუმჯობესებლად პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პირები პერიოდულად ცვლიან სილაბუსებს. პროგრამის შეფასების მიზნით, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ერთად, ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. შეფასების პროცესში ვლინდება ხარვეზები ან გასაუმჯობესებელი კომპონენტები, რაც პროგრამის განვითარების პროცესზე აისახება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;<br>○ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;<br>○ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები;<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ეყრდნობა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარე შეფასებას, კერძოდ, პროგრამის ბოლო აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს და პროგრამაში აისახა ექსპერტთა თითქმის ყველა რეკომენდაცია სასწავლოს კურსების კრედიტების განაწილებისა თუ შინაარსობრივი კომპონენტების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- პროგრამის შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. კითხვარების გარდა, ხდება მათთან შეხვედრები, გასაუბრება და პროგრამის გასაუმჯობესებელი კომპონენტების გამოვლენა. შეფასების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მონაწილეობს აგრეთვე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული

განვითარების შეფასება ხორციელდება ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში.

- პროგრამის შეფასებისთვის მუშავდება მიღებული ინფორმაცია, კეთდება ანალიზი და განისაზღვრება მისი ძირითადი ნაკლოვანებები და გასაუმჯობესებელი მხარეები.
- შეფასებების შედეგების ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით წარუდგენს უნივერსიტეტის სათანადო სტრუქტურულ ერთეულებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები;

- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო  პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პოპიაშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ხვთისო მამისიმედიშვილი

